


● რატომ იწყება აპრილის დღეები სიბიჟი პარტი...
 ● ნარაჯენი პირველია, იძნებ სხვაობა ბავშვობაში!

● იტალიის სავსებურთო პრინციპები
 ● ოპერატი ვებლა ბატონს ანგრაჟა

● ანანდი ანგრაჟი-ულაჟი პასპაროვის
 ● ახალი აზრები, განსხვავებები, კარგი-პორდი

პერსონალი და ბრინჯაო




№37 (10948)

ოქტომბერი, 1995 წ. ფასი 30 თეთრი.

გაეროს 1937 წლის 13 აპრილიდან



ჩინაში (იპონია) დამთავრდა ძიუდოსტა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი. გაზეთის გამოსვლის დროსთვის ცნობილი იყო, რომ საქართველოს გუნდის წევრთაგან გიორგი ვაზაგაშვილმა (60 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით ხახალიაშვილმა (+95 კგ) კი ბრინჯაოსი. დაწვრილებით გაზეთის მომდევნო ნომერში.
 შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ამ ჩემპიონატს ოლიმპიური „სტატუსი“ ჰქონდა. უფრო სწორედ, პირველ რეაქციულ გასულმა ათლეტებმა ატლანტის ოლიმპიადის საგზურები მოიპოვეს. საგზურების მფლობელები გახდებიან, აგრეთვე, ევროპის ჩემპიონატში გამორჩეული ძიუდოსტები და „ა“ კლასის ტურნირებში გამარჯვებულნი.
 სურათებზე: გიორგი ვაზაგაშვილი (მარცხნივ) და დავით ხახალიაშვილი



4 ნოემბერს ლას-ვეგასში მაიკ ტაისონი მეორედ გამოვა რინგზე ციხიდან განთავისუფლების შემდეგ. ამჯერად იგი შეხვედრება ბასტერ მატის-უმცროსს, 25 წლის მოკრივეს, რომელსაც პროფესიულ სარბიელზე 21 შეხვედრა აქვს ჩატარებული და არცერთხელ არ დამარცხებულა. ინტერესი ამ ორთაბრძოლისადმი უაღრესად დიდია და ამიტომაც მეტოქეები ხშირად აწყობენ შეხვედრებს პრესის და რადიო-ტელევიზიის წარმომადგენლებთან.
 ერთ-ერთი ასეთი პრეს-კონფერენცია დანიშნული იყო გასულ პარასკევს ნიუ-იორკში, მაგრამ ტაისონმა ვერ შესძლო (თუ არ იკადრა) კლივლენდიდან ჩამოსვლა. მისმა მეტოქემ კი ბევრი საინტერესო რამ მოუთხოვა ჟურნალისტებს, როგორც გაიკვამილ ბასტერ მატის-უმცროსი სწავლობს ელენდლის (მიჩიგანი) უნივერსიტეტში და გულმოდგინედ ეუფლება კომპიუტერზე მუშაობის ტექნიკას. ტაისონის მეტოქეთა შორის იგი მეორე მოკრივე გახლავთ, რომელსაც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. პირველი — პიტერ მაკნილი იყო, პრესკონფერენციაზე ბასტერმა აღნიშნა, რომ თავის შანსებს ტაისონთან ბრძოლაში საკმაოდ ოპტიმისტურად აფასებს.

საპარტოვლო პიროვნული ჩაბრუნება ფეხბურთი

- პირველი ჯგუფი**
 VIII ტური
 „გერისი“ (სენაკი) — „კახეთი“ (თელავი) 2-2
 „გურია“ (ლანჩხუთი) — „ივერია“ (ხაშური) 1-2
 „დურუჯი“ (ყვარელი) — „შეგარდენი-1906“ (თბილისი) 0-1
 „დინამო“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 1-0
 „სამტრედი“ (სამტრედი) — „მეტელო-ლურჯი“ (რუსთავი) 3-0
 „კოლხეთი-1913“ (ფრთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3-2
 „სიონი“ (ბოლნისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1-3
 „დინამო“ (ზუგდიდი) — „დინამო“ (თბილისი) 1-5 (მეხუთე ტურის გამოტოვების გამო მატჩი).

ვაშადავით ატლანტისთვის

ძირითადად ამ თემას მიეძღვნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელიც თბილისში გაიმართა. სეიის პრეზიდენტმა ნ. ვაშადავთმა შეიძლება განვიხილოთ ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანალიზისას, ცხადია, ლომის წილი მოახლოებული ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას დაუთმო. კიდევ უფრო ვრცელად კი ამ თემის ირგვლივ სეიის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. ბაგრატიონმა ისაუბრა. ზამთრის (ან-დარა) და ზაფხულის (ბათი) ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობის შესახებ სესიაზე ანგარიშით წარსდგნენ სეიის ვიცე-პრეზიდენტი თ. გაჩეჩილაძე და გენერალური მდივანი ე. ზენაიშვილი.
 სესიამ მიიღო გადაწყვეტილება 1996 წლის ოლიმპიადის (ატლანტი) საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შესახებ.
 სპ. ივროგრაფია.

სპორტი ვებლასათვის მტკლედ...

● საქართველოს პარლამენტის საფეხბურთო გუნდმა, რომელშიც დეპუტატები და აპარატის მუშაკები თამაშობენ, კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში — ამჯერად სტუმრად მოუწვია აბაშელ ვეტერანებს 3-1.

ბიორეაქციებისა და იოგიკაების „ღუელი“

ყველასათვის ხელმისაწვდომი სპორტიცხლებურად მკვიდრდება საქართველოს სოფლებში. შესანიშნავი თანხობა გამოიჩინეს ზოდებმა (ჭიათურის ზონა) — გიორგიკაების საფეხბურთო მინდორზე გამოიწვიეს თანასაფეხელი იოგიკები და გაიმარჯვეს კიდევ. იოგიკების გოგონებმა თავიანთი რაინდების დამარცხება იწყეს და ბაქერობაში გიორგიკების გოგონები გამოიწვიეს. რევენში შედგა, დამარცხებულმა გიორგიკებმა, პირობის თანხმად, ვერობულად პურ-მარილი იკისრეს, რომელიც, ცხადია, სტილით და შინაარსით აშკარად განსხვავდებოდა ვაყი იოგიკების მიერ გაშლილი იმერულ სუფრისგან.



(15, 9-4, 1), კაკაურიძე (7, 4-8), ფურცელაძე (4), კუპრეიშვილი (12, 4-3, 3), ჩეკურიშვილი (29, 10-7).
 „ბოტას სპორტი“ თურქმენი (2), ბუაჩანი (28, 12-5, 1), ვიჩკასი (20, 9-6), ქუშკოლმაზი (10), ქარაბეგი (25, 6-4, 5), ალთაი (9, 4-1), თურქანი (6, 2-2).
 მსაჯები: ვირგილიუს დევიდავიჩუსი (ლიტვა), თური იაკვლევი (მოლდოვა).
 თუ გაითვალისწინებთ, ტურნირის რეგლამენტს, რომლის მიხედვითაც გუნდი მორიგ ეტაპზე ორრანდინი ასპარეზობის შედეგად გადის, არა გვერინია, ქუთაისელ გოგონებს მეტოქის მოედანზე საბასუხო მატჩის წინ გული საგულესი ჰქონდეთ — შინ ჩვენებმა ქუთაისი მწირი მარაგი დააგროვეს. ეს მით უფრო დასანანი, რომ მასპინძლებმა თამაშის ყველა კომპონენტში დაჯანს სტუმრები, რომელთა შორის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სრულფასოვანი მოთამაშე ამერიკელი შეკანიანი ა. ვიჩკასი იყო. ქუთათურებს არ განუვლებიათ ანგარიში დაწინაურება. მეტიც, მიტელ შპილში 20-21 ქულითაც მიჰყავდათ თამაში. მაგრამ რატომღაც საქმე მოთავებულად ჩათვა-

კალატოპურთი • ლილიან რონკაბის თასი

27 სექტემბერი. თბილისის სპორტის სასახლე, რონკაბის თასის გათამაშების პირველი მატჩი (ქალები: „მეობა“ (ქუთაისი, საქართველო) — „ბოტას სპორტი“ (ადანა, თურქეთი) — 112:100 (68:51).
 „მეობა“ კუბატაძე (26 ქულა, აქედან, სპარტო 1-დან — 1, 1 სამჭულანი ტყორცნი), ოშიაძე (19, 5-5, 2), ბულიშვილი (15, 9-4, 1), კაკაურიძე (7, 4-8), ფურცელაძე (4), კუპრეიშვილი (12, 4-3, 3), ჩეკურიშვილი (29, 10-7).
 „ბოტას სპორტი“ თურქმენი (2), ბუაჩანი (28, 12-5, 1), ვიჩკასი (20, 9-6), ქუშკოლმაზი (10), ქარაბეგი (25, 6-4, 5), ალთაი (9, 4-1), თურქანი (6, 2-2).
 მსაჯები: ვირგილიუს დევიდავიჩუსი (ლიტვა), თური იაკვლევი (მოლდოვა).
 თუ გაითვალისწინებთ, ტურნირის რეგლამენტს, რომლის მიხედვითაც გუნდი მორიგ ეტაპზე ორრანდინი ასპარეზობის შედეგად გადის, არა გვერინია, ქუთაისელ გოგონებს მეტოქის მოედანზე საბასუხო მატჩის წინ გული საგულესი ჰქონდეთ — შინ ჩვენებმა ქუთაისი მწირი მარაგი დააგროვეს. ეს მით უფრო დასანანი, რომ მასპინძლებმა თამაშის ყველა კომპონენტში დაჯანს სტუმრები, რომელთა შორის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სრულფასოვანი მოთამაშე ამერიკელი შეკანიანი ა. ვიჩკასი იყო. ქუთათურებს არ განუვლებიათ ანგარიში დაწინაურება. მეტიც, მიტელ შპილში 20-21 ქულითაც მიჰყავდათ თამაში. მაგრამ რატომღაც საქმე მოთავებულად ჩათვა-

კალატოპურთი • ლილიან რონკაბის თასი

ლეს; მოდუნდნენ, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა მეტოქემ და ქულათა სხვაობაც საგრძობლად შემცირა. ეტყობა უარყოფითი 12 ქულა მეტოქეს ხელს აძლევს, მაშ რატომ იყენებ თამაშის შემდეგ კმაყოფილებით აღსაყენი? ამაზე პასუხს, ალბათ, 4 ოქტომბრის საბასუხო მატჩი გასცემს. „მეობა“, ვეიქრობთ, მეტ ყურადღებას დაუთმობს საკუთარი ფარის მისაღვამების უფლებელოფას. თურქეთის არა ყავს ისეთი გუნდი, რომ მათი დამარცხება არ შეიძლებოდეს თავისივე მოედანზე. ქუთაისელთა ხელმძღვანელობამ აქედანვე უნდა შეამზადოს გუნდი — უდავოა, მეტოქის სარბიელზე დიდი ზეწოლა იქნება გულშემატივართა მხრიდან.
 თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა ქუთაისელთა მომავალი მეტოქე იქნება საბერძნეთის „პანათინაიკოსის“ და უნგრეთის „ტორანს“ შორის გამარჯვებული გუნდი.

ვეროკაში საუკეთესონი

ჯონათან ედვარდსი (ინგლისი) და სონია ო'სალივანი (ირლანდია) დაასახელეს ევროპის 1995 წლის საუკეთესო მძლეონებად. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ასამდე სპორტულმა ჟურნალისტმა.

ჩვენ დაგეგმარებით ფინანსარჩვენი პროგნოზი

თუ არ გსურთ დახარჯოთ ზედმეტი დრო და ენერჯია, შეგიძლიათ შეგიკვეთოთ ფინანსარჩვენი პროგნოზის ტული ბეჭდური პროდუქციის დამზადება და მიიღოთ იგი შეკვეთის გაფორმებიდან ოპერატიულიად.
 სურვილის მიხედვით შეიძლება მომზადდეს ჩანართი გვერდი, რაც გაზეთთან ერთად გავრცელდება ან ცალკე მიიღოთ შეკვეთილი ტირაჟი. ვვაქვს აგრეთვე პროგნოზის ტული ფურცლების, ბუკლეტების და ა.შ. დამზადებისათვის ორიგინალური ნიმუშების დიდი არჩევანი.
 მოგვმართეთ „ლელოს“ რედაქციაში: კოსტავას, 14. ტელ: 99-56-14. შიდა ტელეფონი 7-50.

სელმონეკა „ლელოზა“ ბრძოლდა

„სელტიკი“ (გლზგო) — „დინამო“ (ბათუმი) 4-0
 შოტლანდიაში გამგზავრებამდე, ბათუმელთა შანსები, შინ განცილდი მარცხის შემდეგ (2-3). ცხადია, მინიმალური იყო, მით უფრო, რომ გოლდარო ბატა მჭუტაძე თავის გუნდს, „სელტიკთან“ საბასუხო მატჩში, ტრავმის გამო ვერ გაშვდა. მასპინძლებისთვის ბათუმელები ისედაც არ წარმოდგენდნენ გამოცანას და სახელოვნო გუნდმა საკუთარ გულშემატივრებს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა თავის შესაძლებლობები. როგორც ბათუმში, გლზგოშიც თავისიანებს პირველი სიხარული მოუტანა „ბაიერის“ ყოფილმა ფორვარდმა ტომმა, რომელმაც მე-18 წუთზე აიღო ბათუმელთა კარი, მანვე ორი წუთის შემდეგ მეორე გოლი გაიტანა. ახალი ტაში ის იყო დიიწყო (46), რომ შესაძლებლად აიღო მეტოქის კარი, მატჩის დასასრულს (90) კი უოლკერმა ანგარიში ოთხამდე გაზარდა. საბოლოოდ 4-0.
 „სელტიკის“ მეტოქე შემდეგ ეტაპზე „პარი სენ-ჟერმენი“ იქნება.

თასების თასი (მგვმფინალი)
 „სპორტინგი“ — „რაბიდი“
 „დინამო“ მ. — „გრადეც-კრალოვი“
 „პალმსტადი“ — „პარიზი“
 „პარი სენ-ჟერმენი“ — „სელტიკი“
 „სარაგოსა“ — „ბრიუგე“
 „ბორუსია“ — აეკ
 „ვერტონი“ — „ფეინოორდი“
 „ტრაბუნსპორტი“ — „დებორტივი“
 პირველი შეხვედრები გაიმართება 19

ოქტომბერს, საბასუხო — 2 ნოემბერს.
 „უფას თასი (მეთამსხმებელი)
 „ოსერ“ — „ნოტინგემი“
 „ბარსელონა“ — „გიმარაეში“
 „ალოსტი“ — „რომა“
 „ლუგანო“ — „სლავია“
 „ჩერნომორეცი“ — „ლანსი“
 „ბრონდბიუ“ — „ლივერპული“
 „ბაიერნი“ — „რაბიდი“

„ვერდერი“ — „დინამო“ მწ.
 „სტრასბური“ — „მილანი“
 „ბენეცია“ — „როლა“
 „სპარტა“ — „ნიმბრუ“
 „ბორდო“ — „როტორი“
 „კაიზერსლაუტერნი“ — „ბეტისი“
 „ლიდსი“ — „ეინდოვენი“
 „სევილია“ — „ოლიმპიკოსი“
 „ლიონი“ — „ლაციო“
 პირველი შეხვედრები 17 ოქტომბერს, საბასუხო — 31 ოქტომბერს.

პარტის სივრცე

ზუსტად ასე უწოდებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმას, რაც მარტის შუა რიცხვებში იწყება და აპრილის დასაწყისში მთავრდება. ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყოველდღე, ამ ორ სიტყვას ატარებენ ამერიკის პრესა ისე, რომ არავითარ დამატებით დეტირთვის არ აძლევს მას.

სივრცე შესაძლოა ზედმეტად ნათქვამი იყოს, თუმცა კუშიარტების მარცხალიც მასში ერთობ დიდია. ამ მოვლენის აზრი სხვა სიტყვებითაც შეიძლება გამოიხატოს: სპორტის სამყაროში არაფერი იცის იმის მსგავსი, რასაც ამერიკის სტუდენტური კალათბურთის ჩემპიონატი ჰქვია. სივრცე კი იწყება მარტში — ამ ჩემპიონატის ფინალური ნაწილის დღეებში.

მოგესვენებათ, როგორი მნიშვნელობა ენიჭება სპორტის ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ სულ სხვა საქმეა საუნივერსიტეტო გუნდების კალათბურთი. იქ კაცია თამაშსაც საკმარისად ნახავს და კიდევ ბევრ სხვასაც. კალათბურთი შტატებში არც მეტი, არც ნაკლები — რელიგია, ოღონდ თავისებური, განსაკუთრებული, ყველასგან გამორჩეული.

ფინალურ თამაშებზე, მარტის სივრცის პერიოდში, სტუდენტები ავტობუსებით დაჰყავთ. თავზე ყვავის ახურავს ბერეტი თავისი უნივერსიტეტის განმასხვავებელი ნიშნით. ამერიკელები პატივს სცემენ თავიანთ სასწავლებელს და ყოველთვის იმას ცდილობენ, რომ ამ სიყვარულს საგანგებოდ გაუფასვან ხაზი. ერთი იტალიელი ჟურნალისტის აზრით მის ქვეყანაში ასეთი გრძობა ან საერთოდ არ არსებობს, ან ზომაზე მეტად არის მოჩვენებრივი. ამიტომ, თავში არავის მოუვა აზრად, რომ დაიხუროს ქული, რომელიც აწერია: „რომის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი“.

თამაშებზე ერთი ქალაქიდან მეორეში მიმავალ ავტობუსში თავდაპირველად ადგილებს იკავებენ რეტორიკულ და პროფესორ-მასწავლებლები და შხო-

ვირილი სტუდენტური კალათბურთის განუყვარი თანამგზავრია, იგი არ წყდება არც ანტრაქტებში. ტრიბუნებზე, როგორც წესი, ნიარფერი დროებისა და პლაკატების ტყეა. გულშემატკივრებს აცვიან იმ ფერის ტანსაცმელი, რა ფერის მისიურებსაც ატარებენ კალათბურთელები. ეს საჭიროა მხარეების ადგილად გასარჩევად.

ფინალური ტურნირების აუცილებელი ატრიბუტია ე.წ. ჩირ-ლიდერები (ჩირ-აბოლიმენტები ნიშნავს). მათაც სპეციალური ფორმა აცვიან. ჩირ-ლიდერების საქმიანობა იწყება პაუზებში, წუთშესვენებების დროს. ისინი მაშინვე იკავებენ ადგილს მოედანზე, რათა რიტმული ცეკვების, აკრობატული ეტიუდების, სხვადასხვაგვარი პირამიდის საშუალებით აიძულონ დარბაზი ტაში დაუქრას.

სტუდენტური კალათბურთის მარტის სივრცის პერიოდში ევებურთელი ტელევიზორია ჰყავს, რომელიც გადამწყვეტი მატჩების მოახლოვებასთან დაკავშირებით იზრდება და ბოლოს 70-80 მილიონს აღწევს.

თითხა ტურნირის მოწყობას (ეს ჩემპიონატის კულმინაცია) სამი დღე სჭირდება. თამაშები ტარდება 50-80-ათასიან დარბაზში. ნახევარფინალებისა და ფინალის დღეებში ტრიბუნაზე ცარიელ ადგილს ვერ ნახავთ.

ამერიკული სპორტის და კერძოდ კალათბურთის ტრადიცია აქ მკაცრად არის დაცული. ჩემპიონი უნდა გამოვლინდეს დამატებით ტურნირში, ანუ „პლეი-ოფში“. მაგრამ ტრადიციის დარღვევად ითვლება ის, რომ „პლეი-ოფში“ ჩვეულებრივად 16 გუნდის ნაცვლად მონაწილეობს 64 გუნდი. მათი გამოვლენა საკმაოდ რთული სისტემით ხდება და მას თვალყურს ადევნებს სპეციალური ყოფი.

რატომ 64 და არა 16, როგორც მიღებულია, საერთოდ, ამერიკულ სპორტში? ახსნა მარტივია: გუნდები უნდა შეირჩეს რამდენიმე ასეულ, დაახლოებით თანაბარი სიდიდის კოლექტივიდან. როგორც ყოველი საბჭოთა კავშირის სპეციალისტი ამბობენ, სტუ-

დენტთა რიგითი გუნდების დონე თითქმის ისეთია, როგორც უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებისა. ბრაზილია რომ ბრაზილიაა, მისთვისაც მიუღწეველია სტუდენტ ფეხბურთელთა გუნდების ასეთი სიმრავლე და ისტატის დონე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ყოველი მოსკოველი სპორტული ჟურნალისტი ეგვენი რუბინი ერთ ასეთ ემზოდ იხსენებს: ექვნი-შვიდი წლის წინათ ამერიკაში ჩავიდა სსრკ-ის ახალგაზრდული ნაკრები, რომლის მოთამაშეთა ერთ ნაწილს უკვე თვალთვლით ვხვდებით მთავარ გუნდში, ნიუ-იორკის სტუმრები შეგვდნენ გუნდს, რომელიც სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. საბჭოთა კალათბურთელებს შორის ყველაზე ახალგაზრდა 20 წლისა გახლდათ, ამერიკელებში კი ყველაზე უფროსი მხოლოდ 18-ისა. თანაც სტუმრები აშკარად ჩაგვადნენ ამერიკელებს სიმძლავრეში. ასეთი შესაშვნი უპირატესობის მიუხედავად, თამაში, როგორც იტყვიან, ცალ კარში მიმდინარეობდა. ამერიკელებმა მოიგეს ეს ამხანაგური შეხვედრა 21 ქულით უპირატესობით. არადა, მსგავს კოლექტივს აშშ-ს სკოლებში თურმე ასობით შეკრიბავთ.

ამერიკული ცხოვრების წესში (კალათბურთით დაკავშირებით) არის კიდევ ერთი უნიკალური ნიუანსი. შაბათს ან კვირა დღეს მოგინდათ აქტიური დასვენება, თქვენ მიემგზავრებით

მანქანით რომელიმე მეზობელ პარკში. იქ უკვე შეკრებილია რამდენიმე ათეული კალათბურთის მოყვარული 17 დან 40 წლისა, დგება ორი ან სამი ჯონსონი, იწყება თამაში „გაგონდნაზე“. და... რქენს გაოცებას წრა ნაქვს სასწრაფო, რომ უკუვრებთ ამ „ჟელურის“ კალათბურთელების კვალიფიკაციას: როგორი სროლები, დრიბლინგი, პასები, როგორი პროფესიული ბრძოლა ფარქვეშ, როგორი ფარგები. თუმცა ცრმად რომ ჩაუთქვინო, გასაკვირი არაფერია. ეს ყველაფერი მათ ჯერ კიდევ ბავშვობაში აქვთ ნასწავლი. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ „ველურები“ ოფიციალურ 122-მილიონან სტატისტიკაში არ მონაწილეობენ, სტატისტიკაში, რომელიც, ფაქტობრივად, ამერიკული საკალათბურთო პირამიდის ფუძეს წარმოადგენს.

ამ პირამიდიდან რამდენიმე ათასი, ცხადია, საუკეთესო, სტუდენტთა კალათბურთში მიდის. ისინი აკომპლექტებენ იმ 64 კლუბს, რომელიც ყოველ გაზაფხულს მარტის სივრცეში ემებება. განსაკუთრებით პოპულარული და გამოჩენილი კალათბურთელები „ერიკ-ენული გმირები“ ხდებიან. მათი ბოლო ნათესაყვლელო პროფესიული კალათბურთის უმაღლესი ლიგა — ნბა. ამ ბენდიერ ახალგაზრდებს ელოდებათ სახელი, დიდება და, რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია, სიმდიდრე: ეს კალათბურთელები პირამიდის ყველაზე ზედა ნაწილს ქმნიან...

„ლელო“ რედაქციისგან: ამ შესანიშნავმა წერილმა ერთი რუბრიკა გაგვასვენა — „მასობრივიდან — ოსტატობისკენ“ საბჭოთა სწავლებლები დადამკვიდრებენ ამ პრობლემის გადაჭრას, ხან რას გვთავაზობდნენ, ხან რას არაფერი გამოვლდა. გარდა გაყალბებული სტატისტიკისა, რთაც ასე იწონებდა თავს საბჭოთა სპორტული მოძრაობა. ქე-შპარტიკა გზა მასობრივიდან ოსტატობისკენ კი რაც ყოფილა, თვალნათლივ დავინახეთ ამერიკელთა მაგალითზე.

კიდევ ერთი ბეგის ახსოვს უმაღლესი სასწავლებლების პირველობა კალათბურთში. ეს იყო ნამდვილი ზეიმი, რომელსაც ყველა-უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები, რიგითი მაყურებელი მოუთმენლად მოელოდა. ჩვენთან ამის შემდეგ დამკვიდრდა აზრი, რომ კალათბურთი სტუდენტური სპორტია — რა სტუდენტი იყავი თუ კალათბურთს არ თამაშობდი!

იქნებ ადვადგინოთ ტრადიცია. ძნელი საქმეა? ალბათ არც ისე ძნელი, რომ დამოკიდებდნენ ბარიკადს ადვადგეს. ეგებ დისკუსიაც წამოვიწყოთ ამ თემაზე და მერე პრაქტიკულ საქმეზე გადავიდეთ.

პროზა

არის ასეთი სოფელი!

დიდი ხანა რესპუბლიკის პირველობებს ოდინდელი გაქანებით ვეღარ მასპინძლობენ საქართველოში. განსაკუთრებით ჰირს სასტუმრო, კვებით უზრუნველყოფა. მაგრამ თურმე მოინდომე და... შეჩიბრებას, რომლის ჩატარების შესაძლებლობები თვით თბილისსაც არ გააჩნია, სოფელი უმასპინძლებს, ჩვეულებრივი, საქართველოს რიგითი სოფელი...

სად არის ასეთი სოფელი? სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონში, მისი სახელია — ნარაზენი! ჯერ თვით ის ფაქტია სასიხარულო, რათი აქ, მაღალმთიან სოფელში კრივმა საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი, უამრავი ახალგაზრდა ეტანება სპორტის ამ რაინდულ სახეობას. მოსახლეობამ, გამგებელმა ზამორი განაწილებს და ფირმა „ნარაზენის“ თავაკება მიხილლომიამ, დიდი გულისყური გამოიჩინეს, რათა სოფელს ჰქაბუქ მოკრივეთა რესპუბლიკური პირველობისათვის ღირსეულად ემასპინძლა.

ასპარეზობამ მართლაც უზუხად ჩაიარა (მთავარი მსაჯე ზურაბ ტიბუა). სტუმრები მოსასლეობამ შეიკედლა, მათ კმაყოფაზე იყვნენ: თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, ვანის, რუსთავის და ყვარლის 70-მდე წარწეული, რომელთაგან რჩეულები ევროპის ჰაბუქთა პირველ ჩემპიონატში (20-26 X, თურქეთი) საქართველოს ღირსებას დაიცავენ. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 48 კმ. მამუკა გორდუნიანი (ქუთაისი), 51. დათო ჩხაიძე (ჭიათურა), 54. ავთო კაშია (ქუთაისი), 57. კახაბერ კუსიანი (ფოთი), 60. ლევან ჯანჭავაძე (ნარაზენი), 63,5. პამელტ ბალანჩივაძე (ქუთაისი), 67. კახაბერ ბებურია (ფოთი), 71. ზაზა კაკაური (გორი), 75. ბორის გიორგაძე (თბილისი), 81. თამაზ სუჯაშვილი (თბილისი), 91. ზურაბ პაპავა (ქუთაისი).

„ლელო“ კორ.

სპასტოპოლის

საერთაშორისო...

ამ დღეებში შავი ზღვის ეს სამხედრო საბორტო ქალაქი კვლავ მასპინძლობდა მოკრივეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც საქართველო 6 სპორტსმენით წარსდგა. ჩვენების ანგარიშზე ერთი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი. მსუბუქი წონის ფოთელმა სპორტსმენმა კობა გოგოლაძემ სამივე ბრძოლა თვალსაზრისით უპირატესობით წარმართა და უძლიერესის სახელი დაიხატურა. თანაბარი ძალისა გამოდგა მეორე ქვესაშუალო წონის მოკრივეთა — ქუთაისელ თე-

ნიზო მესხაძისა და თურქ ევროპის ჩემპიონ ნურზან სულეიმანოვის ფინალური შეხვედრა, მსაჯებმა გამარჯვებულად კონტინენტის ჩემპიონი სცნეს. ფინალამდე მივიდა, აგრეთვე მეორე საშუალო წონის ფოთელი ზაზა ოჩიგავა, მაგრამ გადაწყვეტილი ბრძოლაში, ტრაგეიის გამო, არ გამოსულა და მასაც მეორე საპრიზო ადგილი ხვდა წილად.

ასპარეზობისათვის ჩვენი მოკრივეები მოამზადა რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა როლანდ კვაჭაძემ.

რა ხდება ქვეყანაზე

ბაიბარამ ჩოგბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გუნდური ტურნირის — ადგილის თასი“ ნახევარფინალური მატჩები: აშშ — შვეიცია 4:1, რუსეთი — გერმანია 3:2. ფინალში (1-3 დეკემბერს) ერთმანეთს შეხვდებიან აშშ-სა და რუსეთის ნარმობადგენლები. დამსასრულა მნიშვნელობით მესამე „სტურ დე ფრანსისა“ და „ჯეირო დ იტალიის“ შემდეგ პროფესიონალთა მრავალდღიანი ევლორპულა „გულტა“ (ესპანეთის ტური). გამომავლა ფრანგმა ლორან ჟალაბერმა (ონსე) — 95:30.33 (საშუალო სიჩქარე — 38,074 კმ საათში). მომდევნო ადგილებზე გაივდნენ ესპანელი აბრაამ ოლანი („სპაი-ბი ჯე“) და ბელგიელი იოჰანი ბრიუნელი („ნიმსე“), მაგრამ ლორან ჟალაბერის სახელი შეხვედრა მოუწყვეს ესპანელმა გულშემატკივრებმა.

„ფორმულა-1“-ის ეტაპებზე პირველი გამარჯვება მოიპოვა დიდი ბრიტანეთის ნარმობადგენელმა დევიდ კულტარდმა („უილიამს-რენო“). იგი უძლიერესი იყო ავტომობილისტთა ამ პოპულარული შეჯიბრების მეტაბეზე ეტაპზე (პორტუგალიის „გრან-პრი“). მეორე ადგილი ხვდა მიაპულ შემხვედრა (გერმანია, „მენტონ რენო“), მესამე — დევიდ პილს (დიდი ბრიტანეთი „უილიამს-რენო“). 13 ეტაპის შემდეგ ბოლოს 72 ქულით ლიდერობს შუბახერი. მეორე ადგილზეა პილი — 55 ქული, მესამეზე — კულტარდი — 39 ქული.

ხარბარამში დამთავრდა აფრიკის VI თამაშები, რომელიც 10 დღეს გრძელდებოდა და კონტინენტის სპორტულ ცხოვრებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა:

რ.	3	2.
სამხრ. აფრიკა	62	51
ეკუატორ	60	41
ნიგერია	37	29

30500 მხატვრულ ტანმოვარჯიშითა მსოფლიო ჩემპიონატზე აბსოლუტური პირველობა ერთნაირი შედეგით ორმა სპორტსმენმა მოიგო: მარია პეტროვა (ბულგარეთი) და ეკატერინა სერგეიანასკია (უკრაინა) — 39,800 ქული თითოეულს. ცალკეულ ვარჯიშებში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ: სახტუნელათი — ლარისა ლუკინიკო (ბულგარეთი) — 9,950; გუნდური — მარია პეტროვა და აინა ზარინა (უკრაინა) — 9,950 თითოეულს. პურით — აინა ზარინოვა, ეკატერინა სერგეიანასკია და აინა ბატკინა (რუსეთი) — 9,950 თითოეულს და ლეტიტი — ელენა ვიტრინიკო (უკრაინა) — 9,950.

მსოფლიოს ორგანის ვიცეჩემპიონმა ჭფარცვაძე, 64 წლის ვიქტორ კორნილი ჩინეთის ქალაქ ვენჩოუში სანტონელი მატჩი მოიწყო ქალაქ შორის მსოფლიოს ორგანის ჩემპიონ სიუ უნთან (ჩინეთი) და დაამარცხა იგი ანგარიშით — 3:1. მეტოქეებმა პირველი ორი პარტია ყაიბით დამთავრეს, მერე კი კორნილი ზედმედ და ორი პარტია მოიგო. სანტონელსა, რომ ვიცეჩემპიონი თავის მეტოქეზე უფროსია

ხუთი რგოლის ბარშაი

2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მოწყობის მსურველ ქალაქთა რიცხვს შეემატა საფრანგეთის ლიონი. ქალაქის მუნიციპალიტეტმა 57 ხმით (თავი შეიკავა თექვსმეტმა) მხარი დაუჭირა ქალაქის მერის, საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაიმონ ბარის ნინადადგება ამის თაობაზე. ახლა საფრანგეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ნინაშე საკმაოდ რთული და პიკანტური ამოცანა დგას. მიემხროს ლიონს, თუ საფრანგეთის მეორე ქალაქს ლილს, რომელსაც ასე-

ვე დიდი სურვილი აქვს უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს. ამ საკითხთან დაკავშირებული არჩევნები ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 7 ნოემბრისათვის დაინშნა. ოლიმპიადის მოწყობაზე პრეტენზიას უკვე 11 ქალაქი აცხადებს. მათ შორისაა ნანტე-პეტერბურგი, ბუენოს-აირესი, პრეტორია და სხვა.

2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადის ერთ-ერთ ხელისმაძიებლად შევცვის დედაქალაქი სტოკჰოლმიც ითვლება. თუმცა, მოსახლეობას ეს ფაქტი ავანტიურად მიაჩნია და გარკვეულ გულგრილობას იჩენს ქალაქის მუნიციპალიტეტის ნინადადგებაზე. გაზეთ „სვენსკა დაგლადატის“ დაკვეთით მოსახლეობის გამოკითხვა მოახყო „სკოპის“ ინსტიტუტმა. როგორც გაირკვა, დედაქალაქის მოსახლეობის 44 პროცენტი ოლიმპიადის მოწყობის ნინადადგვა გამოდის, ძირითადად იმის გამო, რომ მას ეს იდეა ფუფუნებად მიაჩნია. თამაშების სტოკჰოლმში გამართვის აზრს ემხრობა მოსახლეობის 38 პროცენტი, რაც სრულყოფილი არ არის საკმარისი საკითხის დადებითად გადასაწყვეტად. გამოკითხვითა 18 პროცენტს, ჯერჯერობით არა აქვს გამოკვეთილი პოზიცია. საინტერესოა ერთი დეტალიც: ოლიმპიადის ნინადადგვა განსაკუთრებით მწყურვალად არიან განწყობილი ქალაქი და მაღალშემოსავლიანი სტოკჰოლმელები.

ამასობაში, როგორც ინგლისის „გარდენი“ იუწყება, ლონდონი ნამოაყენებს თავის კანდიდატურას 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მოსაწყობად. გაზეთის განცხადებით, დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტი სწორედ ამ პერიოდისთვის გარაუდობს ახალი ოლიმპიური სტადიონის მშენებლობის დამთავრებას. შეგახსენებთ, რომ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი ოლიმპიადის მასპინძელი ორჯერ უკვე იყო, პირველად 1908 წელს (IV ოლიმპიადი) და მეორედ ზუსტად 40 წლის შემდეგ (XIV ოლიმპიადი).

რა ხდება ქვეყანაზე



ნაბ-ს ანგარიში

„ზინის სანის“ ფორვარდმა ჩარლზ ბარკლიმ, რამელიც ბოლო დროს რატომღაც პოლიტიკით იყო გატაცებული და აშშ-ს სენატის წევრობას აპირებდა, გადაწყვიტა დარჩეს კალათბურთში. ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთ წელიწადს გაატარებს თავის კლუბში. ჟურნალისტებთან საუბარში ბარკლიმ განაცხადა, რომ ალარ აქუხებს არც მუხლი და არც ტკივილები ზურგის არეში.

ახალ საკალათბურთო სეზონს ლიბრელო შარუნას მარჩილუნის შეხვედრა „საკრამენტო კინგზში“ — კალიფორნიის კლუბში, რომელიც თურმე მის დიდი ხნის ოცნებას წარმოადგენდა. „საკრამენტო“ გადავიდა ბაირონ პულსტონის, რომელიც შეყვანილ ხალხში გუნდის ლიდერს მიტჩ რიჩმონდს.

ჩრდილოეთ კონფერენსაში დაკომპლექტებულმა „მეჯიკ ოლ სტარზმა“, რომელსაც ლეგენდარული მეჯიკ ჯონსონი უდგას სათავეში, ერთ-ერთი უიკ-

ენდი სტამბულში გაატარა და შეხვედა იქაურ ჩემპიონს „უიკერ გენჩლიკს“. დასაბუთი ბრძოლა არ ყოფილა. პროფესიონალებმა გაიმარჯვეს — 148:102.

საბრძოლო ჯგუფმა „პარლემ გლობ ტრეტერსმა“ თავისი ვეროპული ტურნეში პირველ აბდულ ჯაბარის გუნდთან სენსაციური მარცხით აღიშნა. და, რაც მთავარია, ეს მარცხი „პარლემმა“ იქვინა ზედიზედ 8829 გამარჯვების შემდეგ („გლობ ტრეტერსმა“ ბოლო მარცხი განიცადა 1971 წლის 15 იანვარს, „ნიუ-ჯერსი რედსთან“). ციურისში „პარლემმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 91:90, პალეოში — 58:52, აი ვენაში კი ბრძოლა დამთავრდა 85:91. მაგრამ ამ მარცხში გასაკვირი არაა სათაქლო არაფერი, ვინაიდან მოწინააღმდეგე გუნდში, აბდულ-ჯაბარის გარდა (მან თავისი კოლექტივის 34 ქულა შესძინა) გამოდიოდნენ წარსულში ნაბ-ს ცნობილი ვარსკვლავები — ჯო უაიტი (ორჯის ჩემპიონი „ბოსტონის“ შემადგენლობაში), ატის გილმორი (ლიგის ყველა დროის რეკორდსმენი თამაშთან ბურთის ჩაგდებაში), დენ რაუნფილდი („ატლანტა“, „დეტროიტ“, „ვანგუარდნი“) და ბუ კიმბლი (ორი წლის წინ „ნიუ-იორკ ნიქსში“ თამაშობდა). სამაგიეროდ, მომდევნო მატჩში „პარლემმა“ გაანადგურა ჯაბარის გუნდი — 92:71.

ჩემპიონი პარსკვლავები

ოვერბო — „გენიალური ლიკიორი“

ვოლფანგ ოვერბო, 80-70-იანი წლების გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, ფეხბურთის ისტორიაში შევიდა როგორც ბრწყინვალე ნახევარცენტრი.

ოვერბო (დაიბადა 1943 წლის 29 სექტემბერს) მთელი სპორტული კარიერა სულ ორ საკლუბო გუნდში გაატარა: დასაწყისში ეს იყო მისი მშობლიური ქალაქის ზიგბურგის „სვ ზიგბურგ-04“, შემდეგ კი 14 წლის მანძილზე ბუნდესლიგის ცნობილი კლუბი „ფიკიოლინი“ (1963-77). იგი 11 წელიწადს გამოდიოდა გერმანიის ნაკრებში. დებიუტი 1963 წლის 29 სექტემბერს ჰქონდა მანის ფრანკფურტში თურქებთან (3-0), 1974 წლის 7 ივლისს კი მსოფლიო პირველობაზე ჰოლანდიელებთან გამარჯვების შემდეგ (2-1) გამოეთხოვა გუნდს.



ვოლფანგ ოვერბო, 80-70-იანი წლების გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, ფეხბურთის ისტორიაში შევიდა როგორც ბრწყინვალე ნახევარცენტრი.

სულ ნაკრებში 31 მატჩი ითამაშა და 17 გოლი გაიტანა, 1963 წელს მსოფლიოს ნაკრებში გამოვიდა ბრაზილიელთა წინააღმდეგ (1-2), 765 ოფიციალური მატჩში 287 გოლის ავტორი გახდა, აქედან 409 ბუნდესლიგის კალენდარული მატჩი იყო (33 გოლი).

ოვერბო ატარებდა მსოფლიოს სამ (1966, 1970 და 1974 წლებში) ჩემპიონატში მონაწილეობამ მოუტანა დიდი სახელი, ჩინებულად ითამაშა ინგლისში, სადაც ჩემპიონატის ფინალურმა მატჩმა (1966 წლის 30 ივლისს), გერმანელ გულშემატკივრებს დიდი მწუხარება ეწ. „ბაბაროვის კახუსმა“ აჩვენა. ისინი მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ჩემპიონობა ყველაზე უფრო სწორედ მათ შეეფერებოდა.

ოთხი წლის შემდეგ მექსიკაში გერმანელთა ნაკრები არანაკლებ ძლიერად თამაშობდა, შუა ხაზზე ბრწყინვალედ იმუშავა და ბეკენბაუერი, აი, ცნობილმა ოსტატმა პალერმა კი ვერ იქნა და ვერ აუბა მათ მხარი. მაშინ მწვრთნელმა პეტერ ბიოხიმ სრულიად მოულოდნელი, მაგრამ საბოლოო ანგარიშში გამარჯვებული მანგერი განახორციელა. მაშინ ხაზზე დასწია განთქმული სნაიპერი უფე ზეულერი. სპეციალისტებმა ამ ჩემპიონატში ოვერბოს თამაშს „გენიალური“ უწოდეს. იგი ბრწყინვალე საფეხბურთო ორგანიზაციის არაჩვეულებრივი ღირსი იყო. ამ ჩემპიონატის შემდეგ, სადაც გერმანელებს მესამე ადგილი დარჩათ (ამ ადგილისთვის დამატებითი მატჩში ურუგვალებთან ერთადელი გოლი სწორედ ოვერბომ გაიტანა), მსოფლიოს იდეალური ნაკრებში 3 გერმანელი მოხვდა: ფ. ბეკენბაუერი, ვ. ოვერბო და გ. მიულერი.

მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართა. მასპინძლებს დასაწყისში ძალიან გაუჭირდათ. მათი მტრები წინასწარ ჯგუფში, რომ იტყვიან, „კარში ჩადგინენ“ და წინ წასვლას არც კი ფიქრობდნენ. დასაწყისში ოვერბო არ გამოდიოდა. გუნდის ლიდერი ნეტციერი იყო, რომელმაც ორი წლის წინ ბრწყინვალედ ითამაშა ვერობის ჩემპიონატში, აქ კი არაფერი გამოსდებოდა. მაშინ გუნდის კაპიტანმა ბეკენბაუერმა პეტერ ბიოხიმ კატეგორიულად მოსთხოვა დაებრუნებინა ოვერბო, საქმეს მართო ის თუ უშედეგოდა. ეს გადაწყვეტილება სწორი გამოდგა. ოვერბო ხომ ის კაცი იყო, რომელსაც ყოველგვარი „ბეტონის“ წინააღმდეგ საიმედო იარაღი უწოდებდა. პოლონეთის ძლიერი ნაკრებთან პრინციპულ მატჩში ოვერბომ და ბონპოფმა აშკარად აჯობეს მეტოქის ცნობილ ნახევარცენტრებს დინიას და კასპერჩას, ფინალური შეხვედრა ჰოლანდიელებთან კი საერთოდ დაუფიქრებელი იყო.

„დიდი ტაქტიკოსის“ ფინალური ნაბიჯი მეტისმეტად ეფექტური გახლდათ: გახდა თუ არა მსოფლიო ჩემპიონი, იგი ნაკრებს გამოეთხოვა.

გივი თორაძე

იტალიის ლიგა უნიკალური მოვლენა მსოფლიოს საფეხბურთო პრაქტიკაში და სახეებით ბუნებრივია, რომ განუზომელი პოპულარობით სარგებლობს ხუთსავე მატჩიდან. უნიკალურია იგი, უპირველეს ყოვლისა, თავისი შინაგანი სიძლიერით, ამოუწურავი შესაძლებლობებით, გარე სამყაროსთან თავისებური დამოკიდებულებით, ორგანიზაციული სტრუქტურით და, რაც მთავარია ხარისხით. ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად იტალიის ჩემპიონატში თამაში ნიშნავს იმას, რომ გუნდს საშუალება გახდეს უმაღლესი ხელოვნების თანაურად იყოს. ესაა მთავარი, თუ უფრო ვიდრე სხვების მიერ ნანახ და გაგონილს. იტალიის საფეხბურთო ლიგაზე, იქ დამკვიდრებულ ტრადიციებს და ურთიერთობებზე განსაკუთრებით საინტერესოდ საუბრობენ უცხოელები. ერთი ასეთი უცხოელი იტალიის შალიშვილი გახლდათ, რომელსაც მარკოს „ინტერში“ თამაშმა და იტალიური ენის კარგა ცოდნამ დიდი სამსახური გაუწია. აი როგორი აზრისაა იგი იტალიის საფეხბურთო ლიგაზე.

ლიგის ყველა სიკეთეს, არცთუ უსაფუძვლოდ, ლეგიონერთა დამსახურებად მიიჩნევენ. ეს თუ ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ ლიგა, პირველ ყოვლისა, უცხოელ ვარსკვლავთა თავშეყრის ადგილი ყოფილა. ასეა მართლაც?

— ასე პრაქტიკით მართალი ბრძანდებით. უცხოელი ლეგიონერები რომ არაა, ლიგა თავისი დონითა და შესაძლებლობებით საშუალო ხარისხისა იქნებოდა და სხვა არაფერი. მაგრამ იტალია იმიტომაც არის იტალია, რომ ახერხებს იმას, რაც სხვას აზრად არ მოუვა. ამ გზით მან თავი მოუყარა მსოფლიოს თითქმის ყველა საუკეთესო ფეხბურთელს. მწილი მისხვედრი არ უნდა იყოს, რომ იტალიური ფენომენის საიდუმლოება... ფულშია, რასაც ფეხბურთისათვის ამ ქვეყანაში არავინ იშურებს (სხვათა შორის, ბევრი სახელმწიფოსგან განსხვავებით).

როგორ ფიქრობთ, შეუძლიათ თუ არა იტალიურ გუნდებს ულტრაიონერებთან თამაში ახერხებდნენ?

— გამოიცხადოთ. ვერც ერთი გუნდი, უკიდურესად უმნიშვნელოც კი, ვერ იარსებებდა იტალიაში სულ ცოტა სამი უცხოელი ფეხბურთელის გარეშე. უამისობა შელახავდა გუნდის პრესტიჟს, საფუძვლიანად შეარყევდა კლუბის პრეზიდენტის იმიჯს. ძლიერ გუნდებს კი... ისინი ვალდებულია თვლიან თავს ჰყავდნენ იმდენი უცხოელი, რომ ტრავმებისა და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების შემდეგაც შეძლონ თამაშში სამი ლეგიონერის დაყენება. „მილანი“ მას, ჩემის აზრით, ექვსი უცხოელიც არ ჰყოფნის. სხვათა შორის, კარგად მახსოვს, ერთ სეზონში ერთხელ ოთხი უცხოელი გამოვიდა მწვრთნელთან და... „მილანი“ კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

თუ არ ვცდებით „ინტერსაც“ ჰყავდა ერთი ზედმეტი ლეგიონერი?

— ზედმეტი კი არა, სათარიგო. თავდაპირველად ვთამაშობდით ზამერის, პანჩევი და მე. სოსა სკაპზე იჯდა. მერე იგი ჩადა შემადგენლობაში და მე მომიხდა სკაპზე გადაჯდომა. იტალიის კლუბებში ასეთი დიალექტიკაა.

ერთ დროს იყო ლაპარაკი ყოველ მატჩში ლეგიონერთა კვოტის ოთხამდე გაზრდაზე. გამოვიდა აქედან რამე?

— შეუძლებელია გამოსულიყო და იცით რატომ? იტალიელ მოთამაშეთა პროფესიონალიზმის დიდი ძალა აქვს და ის არაფრით წავიდოდა ასეთ რეფორმაზე. რა თვისებებს უნდა ფლობდეს უცხოელი ვარსკვლავი, რომ იტალიის ლიგას მოერგოს?

— ვილაც პირობებისა და გარემოს შეცვლას ადვილად ეგუება, ვილაც — უფრო ძნელად. განსაკუთრებით უჭირთ შეგუება აღმოსავლეთ ევროპიდან მოსულ ლეგიონერებს. მიზეზი მარტოვია. სამხრეთამერიკელებისა და დასავლეთ ევროპელებისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთის ლეგიონერები უნდა შეეგუონ, ჯერ ერთი, უცხო ფეხბურთს, მერე უნდა შეიცვალონ ცხოვრების წესი, ჩვევები და, ასე გასინჯეთ, აზროვნება. ასეთ დატვირთვას ყველა ვერ უძლებს. დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო ენის ცოდნასაც.

ლეგიონერთა რიცხვის ზრდა, ალბათ მინცა ხელს უშლის ადგილობრივ ფეხბურთელთა დამსახურებას?

— აზრი ამ საკითხზე პერიოდულად იცვლება და იგი, უმთავრესად, ეროვნული ნაკრების თამაშის ხარისხზე დამოკიდებულია. ითამაშებს „სკუადრა ალურა“ კარგად, მოიგებს რომელიმე მნიშვნელოვან მატჩს და ეს პრობლემა აღარავის ასსოს.

ხშირია თუ არა კონფლიქტური სიტუაციები ლეგიონერებსა და ადგილობრივ ფეხბურთელებს შორის?

— სხვა გუნდებზე, მართალი ვითრით, ვერაფერს ვიტყვი, თუცა კონფლიქტების შესახებ იქაც არაფერი გამოვიდა. აი „ინტერში“ კი ორი წლის მანძილზე ფეხბურთელებს შორის შელაპარაკებაც არ მომხდარა. ყოველი მოთამაშე თავის უპირატესობას ამტკიცებს ამ თამაშში, ანდა ვარჯიშზე.

რა განსხვავება იტალიაში გუნდის უფროსსა და პრეზიდენტს შორის?

— არაფერია. პრეზიდენტი და უფროსი ერთი პიროვნებაა, რომლის ფუნქციას ასრულებს გუნდი.

პრეზიდენტი თუ ირევა მწვრთნელის ფუნქციებში?


— პიროვნებას გააჩნია. ზოგი პრეზიდენტი თავს ფეხბურთის დიდ სპეციალისტად თვლის. იგი, ცხადია, ინტენსიურად ერევა ყველა წვრილმანში. ზოგი კი ყველა საქმეს მწვრთნელს ანდობს, თვითონ კი კლუბის სტრატეგიას განსაზღვრავს. „ინტერის“ პრეზიდენტი ერნესტო პელეგრინი ამ ტიპის ხელმძღვანელი იყო. ასეთ ხალხთან კონტაქტი გაცილებით ადვილია.

იტალიის ფეხბურთში ხშირად იცვლებიან მწვრთნელები. საინტერესოა, ხშირად გადადის თუ არა კლუბები ერთი პრეზიდენტიდან მეორის ხელში?

— იშვიათად. ჩემს დროს დიდი აქტიურობა იყო ამტყველი „რომას“ გარშემო. მის პრეზიდენტს ჯუზეპე ჩარაპიკოს რაღაც მაქინაციებისთვის ციხე ემუქრებოდა. „რომას“ შესყიდვას აპირებდა „ფორას“ პრეზიდენტი კაზილი, რომელიც იტალიაში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება.

სარგებლობენ თუ არა პრივილეგიებით იტალიაში ადგილობრივი მწვრთნელები?

— არავის არა აქვს პრივილეგია. ყველა პრეზიდენტი ეძებს კარგ მწვრთნელს. იტალიის ლიგაში მუშაობდნენ



იტალიის ლიგა: ასე ესაუბრებიან თამაშობან

ლუნესკუ, ერიკსონი, ბოშკოვი, ზემინი...

მაგრამ ტრანსპარენტს მთავს ხალხს ალბათ მყარი ბოშკოვი აქვს?

— არ ვარ დარწმუნებული. ერთხანს ტრანსპარენტის ბედი „იუვენტუსში“ ბეწვზე ეკიდა. მაშინ დიდი ამბით ეპატივებოდნენ კრუიფს, მაგრამ ეს საქმე, რატომღაც ჩაიშალა. ტრანსპარენტი სწორედ ამან გადაარჩინა.

განსხვავს, როგორი ზარ-ზეიმით ჩავიდა იტალიაში ლუის სუარესი.

— დიან, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბოლოს და ბოლოს „ინტერის“ მწვრთნელს კორადო ორიკოს ღირსეული შემცველი მოუწახვს, მაგრამ... სუარესმა იტალიაში მხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყო...

ფეხბურთში, სამწუხაროდ, ასეა დაკანონებული: გუნდი თუ იგებს — იგებენ ფეხბურთელები, თუ აგებს — მხოლოდ მწვრთნელია დამნაშავე. იტალიაშიც ასეა?

— სამწუხაროდ, იტალია ამ მხრივ არ არის გამონაკლისი. ტრანსპარენტის მაგალითს ვაგანსებებ. ცუდად თამაშობდა „იუვენტუსი“? ვინ იყო დამნაშავე? რა თქმა უნდა, ტრანსპარენტი. გაიმარჯვა გუნდმა? ყველა იმას ამბობს — მწვრთნელი ფეხბურთელები არიანო.

რა როლს თამაშობს იტალიის ფეხბურთში ტრანსპარენტი?

— ძალზე დიდ როლს, გაცილებით მეტს, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. იტალიაში ყოველ წელს ხდება თანაბარი ძალის მოთამაშეთა გაცვლა, რასაც, კაცი რომ დრამად ჩაუკვირდეს, არაფერი აზრი არა აქვს. ეს კეთდება გულშემატკივრებისთვის, რომ ისინი დატკბნენ ახალი ვარსკვლავის თამაშით.

როგორ ხდება ინფორმაციის შერეობა უცხოელ ფეხბურთელებზე? ვინ როგორ თამაშობს, ვისი გადმოყვანა შეიძლება, ვინ დატოვებს უკონფლიქტოდ თავის ქვეყანას, ვის აქვს მეტეპერსპექტივა, ვის — ნაკლები?

— იტალიაში ყველგან გუნდთან არსებობს ე. წ. სასაქონლო კორპუსი. ამ კორპუსის აგენტები მუშაობენ პროვინციებში, დაძრწიან საზღვარგარეთ, ეძებენ ღირსეულ კანდიდატებს. სხვა საქმე მათ არა აქვთ.

სად, რომელ ქალაქში ყველაზე ექსპანსიური გულშემატკივარი?

— ფეხბურთი ყველგან ერთნაირად უყვარათ და, ჩემი აზრით, ყველგან ერთნაირად გიჟობენ. მთავარია, ერთი რამ: ამა და ამ ქალაქს უსათუოდ უნდა ჰყავდეს ა სერისი გუნდი. გულშემატკივრობა ამის მერე იწყება.

კუთარი თვალით უნდა ნახო.

ხომ არა აქვთ „მილანის“ გულშემატკივრებს რიცხობრივი უპირატესობა „ინტერის“ ქომაგებზე?

— არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, „ინტერის“ გულშემატკივრები უფრო ჭირვეული ხალხია, მათ გულთან უფრო ახლოს მიაქვთ სინათლეცა და სინანულიც. როცა „ინტერი“ ცუდად თამაშობს 20-მდე ათას მაყურებელსაც კი ვერ შეკრიბებენ სტადიონზე. „მილანის“ თამაშს, კი მუდმივად 50 ათასი გულშემატკივარი ესწრება.

ამბობენ, იტალიაში ჩემპიონატის მატჩები უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე ევროპის საკლუბო ტურნირების თამაშები. მართლაც ასეა?

— სრული ჭეშმარიტებაა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მთავარი კი ისაა, რომ კვირა დღეს, დღის სინათლეზე, ოჯახთან ერთად სტადიონზე მიხვლა უფრო სანამოვნოა, ვიდრე საშუაო დღეს, საღამოთი, მომქანცველი შრომის შემდეგ.

რა როლს ასრულებს იტალიის ფეხბურთში პრესა?

— წაყვან როლს. ვახვებთ მეტ-

წილად იწერება ის, რაც არ იცის გულშემატკივარმა და რისი ცოდნაც უსათუოდ სურს. პრესას შეუძლია ზეცადე აგიყვანოს ან ტალახში ამოგასვაროს. სწორედ ამიტომ ორმაბათობით ყველა ელოდება იმ ექვს გავთს, რომლებიც დაწვრილებით აშუქებენ ეროვნულ ჩემპიონატს. ჯერ მარტო მოთამაშეთა ნიშნების გაგება რად ღირს...

როგორ აშუქებს ჩემპიონატს ტელევიზია?

— იმდამგვარად, რომ სტადიონზე არ იყოს სცარიელი. პირდაპირი ტრანსლაცია აკრძალულია. მაგრამ ტურის დამთავრების შემდეგ, საღამოს 8 საათიდან აჩვენებენ ყველაზე საინტერესო მატჩებს. მერე ოთხმაბათობა, ყოველდღე, რამდენიმე საათი თამაშის სული თამაშების გარჩევას, აჩვენებენ ყველა გოლს და განსაკუთრებით კრიტიკულ მომენტებს.

დარწმუნებული ვართ, ესა თუ ის პუბლიკაცია, ხშირად უქაყოფილებასა და სკანდალსაც იწვევს?

— განსაკუთრებით მაშინ, როცა ქურნალისტები ფეხბურთელს მიაწვრს სიტყვებს, რომელიც არასდროს არ წარმოუთქვამს. იტალიაში ასეთი რამ ხშირად ხდება. მაგრამ პრესა დიდი სკანდალის თაოსანი არასდროს არის. იგი თავისი საქმიანობას ფეხბურთის სასიკეთოდ წარმართავს.

ხშირად თუ ცდებიან მსაჯები?

— შეცდომები მსაჯებს ყველა ქვეყანაში მოსდის, მაგრამ იტალიელ არბიტრებს პასუხს უფრო მეტად აძლევენ ვიდრე. იმავე სატელევიზიო გადაცემებში წვრილად არჩევენ სამსაჯო შეცდომებს: ვინაშინაა ათასჯერ იმეორებენ და დამნაშავე არბიტრებს მიწისთან ასწორებენ.

ხშირია არაობიექტური მსაჯობა?

— მსაჯების მოსყიდვა იტალიაში საერთოდ არ ხდება, არც გარეგნულად გუნდებს ამ მოთამაშეთა შორის. ამ მხრივ იტალიის ფეხბურთი „ქალწულებრივად“ წმინდაა.

შეიკვალა თუ არა რამიმ ბოლო დროს იტალიურ ფეხბურთში ტაქტიკის თვალსაზრისით?

— ბევრი არაფერი. თუმცა, ზოგი გუნდი სამი ცვლელი თამაშობს. ზონალურ დაცვას თითქმის ყველგან მიმართავენ. „მილანი“ ასეთი ტაქტიკა კარგა ხნის წინ აირჩია. ამიტომაც მათე პრობლემა ამ კლუბს გოლი რომ გაუტანო.

როგორ ვითარდება შეტევა?

— თითქმის ყველა გუნდი ორ ცენტრალურ ფორვარდს იყენებს. რა პერსპექტივები აქვს, ოქვენი აზრით, იტალიის ფეხბურთს? — ფეხბურთს რომ გადაშენება არ უწყვირა, ნათლად ჩანს იტალიის მაგალითზე.

